ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 289
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
გამარტივებული შესყიდვა
(საქონლის შესყიდვა)

ქ.ზესტაფონი 17 ნოემბერი /2015 წელი

ერთის მხრივ, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობა, წარმოდგენილი მისი გამგებლის ტარიელ თუთარაშვილის სახით (მისამართი: ზესტაფონი წერეთლის ქ. N11 (შემდგომში - შემსყიდველი) და მეორეს მხრივ ინდ.მეწარმე ,,ნუგზარ ნადირაძის" სახით (მისამართი: ზესტაფონი, აღმაშენებლის ქ. N43 შემდგომში - მიმწოდებელი), ორივე ერთად წოდებული როგორც ,,მხარეები" ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით მათ შორის ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონით, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგებლის 12/11/2015 წლის N43 1273 ბრძანების და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსის 17/11/2015 წლის N2744-43 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში -,,ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. ,,ხელშეკრულების საერთო ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. ,,დღე", ,,კვირა", ,,თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. ,,შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. ,,მიმწოდებელი"- პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. ,,საქონელი" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიო წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად საქონლის შესყიდვა კლასიფიკატორის კოდით - 18530000, 15980000, 41100000 წარმომადგენლობითი ხარჯებიდან.

მუხლი 3. შესყიდვის ობიექტი

3.1. შესყიდვის ობიექტია - საქონლის შესყიდვა კერძოდ, პოლონეთის ქალაქ ტჩევასთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებასთან დაკავშირებით, პოლონელი სტუმრებისათვის საჩუქრების , (სასაჩუქრე სასმელი) არაალკოჰოლური სასმელების და ბუნებრივი წყლის შესყიდვა ცხრილი N 1–ის შესაბამისად:

ცხრილი N 1

N	დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეული ფასი	ჯამი	კლასიფიკატორის კოდი
1.	სასაჩუქრე ღვინო (თელიანი ველის „ქინძმარაული“ 750 მლ.გრ)	ცალი	2 ცალი	18.00 ლარი	36.00 ლარი	18530000
2.	სასაჩუქრე ღვინო (თელიანი ველის „საფერავი“ 750 მლ.გრ)	ცალი	3 ცალი	13.00 ლარი	39.00 ლარი	18530000
3.	სასაჩუქრე კონიაკი (სარაჯიშვილი 5 ვარსკვლავი, 500 მლ.გრ.	ცალი	3 ცალი	22.00 ლარი	66.00 ლარი	18530000
4.	არაალკოჰოლური სასმელი (გამაგრილებელი გაზიანი სასმელ „კოკა–კოლა“ 0.5 მლ/გრ)	ცალი	25 ცალი	1.20 ლარი	30.00 ლარი	15980000
5.	ბუნებრივი წყალი (მინერალური წყალი „ბაკურიანი“ 05. მლ.გრ)	ცალი	40 ცალი	0,50 ლარი	20.00 ლარი	41100000
					191 ლარი	

მუხლი 4. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

4.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

4.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 191 ლარს.

4.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

5.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

მუხლი 6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები

6.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2015 წლის 18 ნოემბრის ჩათვლით.

მუხლი 7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. საქონლის მიწოდების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც ფორმდება წერილობით ფორმით და დასტურდება მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელისმოწერით ინსპექტირების განმხორციელებელი ჯგუფის დასკვნისა და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადების საფუძველზე.

შემსყიდველი **მიმწოდებელი**

მუხლი 8. მხარეთა უფლება-მოვალეობები

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

ბ) მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების კეთილსინდისიერი შესრულება.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) მოახდინოს ანგარიშსწორების მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

ბ) შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები კეთილსინდისიერად;

გ) უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს :

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

ბ)მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების კეთილსინდისიერი შესრულება.

8.4. მიმწოდებლი ვალდებულია:

ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;

გ) კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები.

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1. ინსპექტირებას განახორციელებს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 5 თებერვლის N43 283 ბრძანებით შექმნილი კომისია.

10. ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები

10.1. შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

10.2. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

10.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისგან.

მუხლი 11. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

11.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

11.2 . შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

11.3. ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად მოწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტისა და სასაქონლო ზედნადების წარმოდგენიდან 10 საბანკო დღის განმავლობაში .

11.4. თუ ანგარიშსწორება უნდა შესრულდეს განსაზღვრულ დღეს და ეს დღე ან ანგარიშსწორების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს.

11.5. მიწოდების ადგილია - ზესტაფონი წერეთლის ქუჩა N 11.

შემსყიდველი: **მიმწოდებელი**

მუხლი 12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდნენ ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, მხარემ დაუყონებლივ წერილობითი ფორმით, მეორე მხარეს უნდა შეატყობინოს შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ.

12.2. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

12.3. თუ მხარეები ხელშეკრულების პირობების შეფერხების გამო შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელებაზე, აღნიშნულ გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

მუხლი 13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში ან/და ვადის გადაცილების შემთხვევაში დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ჯამური ღირებულების 0,1 %.

13.2. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3% (სამი), შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება ცალმხრივად და მოსთხოვოს მიმწოდებელ ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

13.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.4. მიმწოდებელი ვიდრე არ აანაზღაურებს პირგასამტეხლოს, შემსყიდველს უფლება აქვს დააკავოს აღნიშნული თანხა და პირდაპირ მიმართოს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

13.5. ხელშეკრულების თვითნებურად შეწყვეტის შემთხვევაში საქონლის მიმწოდებელი გადაიხდის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის 30%-ის (ოცდაათი) ოდენობით.

მუხლი 14. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

14.1. ხელშეკრულებაში ცვლილების განხორციელება უნდა მოხდეს წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით

14.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

მუხლი 15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 22 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 16. ფორს-მაჟორი

16.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ აღნიშნული გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა ან სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომი ან სხვაგვარი საომარი მოქმედებები,

შემსყიდველი

მიმწოდებელი

თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

16.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა 1 თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის გარეშე.

16.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყონებლივ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს.

მუხლი 17. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

17.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

17.2. იმ შემთხვევაში თუ არ მოხდა მოლაპარაკების გზით მხარეთა შორის შეთანხმება, დავა გადაწყდება სასამართლოს გზით საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე.

მუხლი 18. სხვა პირობები

18.1. მხარეები აანაზღაურებენ ერთმანეთისთვის მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

18.2. მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავის უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

18.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

18.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 3(სამი) ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

18.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობით ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

მუხლის 19. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:
ზესტაფონის მუნიციპალიტეტის
გამგებელი

ტარიელ ბუთხიშვილი

სს „ლიბერთი ბანკი" ზესტაფონის ფილიალი
ბანკის კოდი LIBRTGE22
ა/ა N GE03LB0120177576710000
ს/კოდი: 230087045
მის: ზესტაფონი, წერეთლის ქ. N 11
ტელ: 0(492) 25 26 26

მომწოდებელი:
ინდ.მეწარმე „ნუგზარ ნადირაძე"

ნუგზარ ნადირაძე

სს „საქართველოს ბანკი"
ა/ა N GE83BG0000000151038501
ს/კოდი: 18001008097
ბანკის კოდი: BAGAGE22
მის: ზესტაფონი, აღმაშენებლის ქ. N43
ტელ: 599461711

ვიზის ავტორები:
მალხაზ მაჭავარიანი
ტარიელ სახელაშვილი
ვიტალი ჩინჩალაძე
ბორის ჭიჭინაძე

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

2015 წლის 17 ნოემბერი

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგებელი და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 05 თებერვლის №43/283 ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის წევრები ვადასტურებთ რომ ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტის თანახმად არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში ინდ.მეწარმე ,,ნუგზარ ნადირაძესთან" 191 ლარის ღირებულების საქონლის შეძენის გამო.

ტარიელ თუთარაშვილი - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგებელი

1. **ვახტანგ ღამბაშიძე (სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი)**
2. **ბორის ჭიჭინაძე (სამუშაო ჯგუფის წევრი)**
3. **ანდრო რობაქიძე (სამუშაო ჯგუფის წევრი)**
4. **ზურაბ სირდაძე (სამუშაო ჯგუფის წევრი)**
5. **თეიმურაზ ფერაძე (სამუშაო ჯგუფი წევრი)**
6. **ერემია სალაძე (სამუშაო ჯგუფის წევრი)**